



**საქართველო**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**

**განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის**

**ბრძანება № 01-11/28**

ქ. ბათუმი 07 02 2019წ

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განაცხადისა და პროგრამული ანგარიშგების ფორმების, შეფასების კრიტერიუმების, რეკომენდაციის დამტკიცებისა და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად პროგრამის - „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში გათვალისწინებულია ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი ანსამბლები.

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკურსის მიზანია ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებს შორის ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება/განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო პირობების, განაცხადისა და პროგრამული ანგარიშგების ფორმების, შეფასების კრიტერიუმების, რეკომენდაციის დამტკიცება და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსის თვა ჭანტურიშვილის 2019 წლის 04 თებერვლის N112645 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს  
დეპუტატების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2019 წლის 11 თებერვლიდან გამოცხადდეს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკურსი.

2. დამტკიცდეს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საქართველოს და საერთაშორისო კონცერტებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობის კონკურსის საკონკურსო პირობები, განაცხადისა და პროგრამული ანგარიშგების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები, რეკომენდაცია და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა თანახმად დანართებისა.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი გაცნობა დაევალოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9) ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინგა შამილიშვილი  
მ ი ნ ი ს ტ რ ი

n - 